სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

14 იანვარი 2026

N 9/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქალაქ ბათუმში შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს 400 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე დამატებით 96 მ³ მოცულობის საავიაციო საწვავის მიწისზედა რეზერვუარის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია კოდექსის II დანართის 3.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (100 მ³ ან 100 მ³-ზე მეტი მოცულობის წიაღისეული საწვავის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის განცხადება.

2023 წლის 26 ივლისს სააგენტოს მიერ გამოცემულია „ქ. ბათუმში შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავების (ჯამურად 400 მ³) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ №355/ს ბრძანება, რომლის საფუძველზეც, დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ დაექვემდებარა. ვინაიდან აღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე დაგეგმილია დამატებით ერთი საავიაციო საწვავის მიწისზედა რეზერვუარის მოწყობა და ასევე, ნავთობპროდუქტების საცავის წლიური ტვირთბრუნვის გაზრდა, შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს მიერ მოთხოვნილია 2023 წლის 26 ივლისს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების (ბრძანება №355/ს) ძალადაკარგულად გამოცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს ნავთობპროდუქტების საცავი მდებარეობს ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის №220-ში, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.32.22.035; ფართობი: 1158469 მ²) და იგი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ოპერირებად ავიაკომპანიებს საავიაციო საწვავით ამარაგებს. ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის საერთო ფართობიდან ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია დაახლოებით 1900 მ² ფართობზე (GPS კოორდინატები: X-716872.525, Y-4609775.885; X-716914.0518, Y-4609742.627; X-716891.7337, Y-4609714.778; X-716850.2169, Y-4609748.038), რომლითაც შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“ ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს. ნავთობპროდუქტების საცავის სარეზერვუარო პარკი წარმოდგენილია 3 ერთეული, ჯამურად 400 მ³ მოცულობის მიწისზედა რეზერვუარით (№1 რეზერვუარი – 150 მ³, №2 რეზერვუარი – 150 მ³ და №3 რეზერვუარი – 100 მ³),

რომლებიც განკუთვნილია TS-1 და JET A-1 საავიაციო საწვავის შესანახად. სარეზერვუარო პარკი უზრუნველყოფილია ბეტონის შემოზვინვითა და რეზერვუარებზე ასასვლელი კიბეებით, ასევე რეზერვუარიდან რეზერვუარზე გადასასვლელი ხიდებით. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია შემდეგი დამხმარე ინფრასტრუქტურა: საწვავის მიმღებ-გამცემი ბაქანი შესაბამისი ტუმბოებით; საწვავის მიმღებ-გამცემი მილგაყვანილობა; საოპერატორო ავტომატური მართვის ჯიხური; 4 ერთეული (ჯამურად 224 $მ^3$) ხანძარსაწინააღმდეგო წყლის რეზერვუარი; ხანძარსაწინააღმდეგო ქაფგამანაწილებელი კვანძი; ნარჩენების განთავსების უბანი; მთავარი ელექტროგამანაწილებელი ფარი; მეხამრიდები; სამარაგო დენის გენერატორი; სეპარატორის ტიპის ნავთობპროდუქტების გამწმენდი დანადგარი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ტერიტორიიდან დაახლოებით 120 მეტრში მდებარეობს თვითმფრინავების ასაფრენი ზოლი, დაახლოებით 171 მეტრში – უახლოესი საცხოვრებელი კორპუსი, დაახლოებით 600 მეტრში – ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტი (ჭოროხის დელტა GE0000054), დაახლოებით 610 მეტრში – ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის შენობა, დაახლოებით 1600 მეტრში – შავი ზღვა, ხოლო დაახლოებით 1700 მეტრში – მდინარე ჭოროხი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საავიაციო საწვავზე მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“ გეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე დამატებით ერთი, 96 $მ^3$ მოცულობის საავიაციო საწვავის მიწისზედა რეზერვუარის განთავსებას (GPS კოორდინატები: X-716888.0500 Y-4609750.61), რის შემდგომაც ნავთობპროდუქტების საცავის სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა 496 $მ^3$ გახდება, ხოლო წლიური ტვირთბრუნვა – 23 000 ტონა. როგორც არსებული რეზერვუარები, საპროექტო №4 რეზერვუარიც დამუშავდება სპეციალური ანტიკოროზიული/საწვავმედეგი საღებავით და აღიჭურვება სასუნთქი სარქვლებით, ასევე ფოლადის კიბით. სარეზერვუარო პარკში საწვავის მიღება გათვალისწინებულია ავტოცისტერნების საშუალებით, რისთვისაც ზამთრის პერიოდში შესრულდება დღიურად 1-2, ხოლო ზაფხულის პერიოდში – 3-4 სატრანსპორტო ოპერაცია. ობიექტის სამუშაო რეჟიმი წელიწადში 365 დღეს, დღე-ღამეში 24-საათს შეადგენს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური (რეზერვუარების რეცხვა) და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით გამოიყენება, რომლითაც ობიექტი ლიცენზირებული ჭაბურღილიდან მარაგდება. რაც შეეხება ჩამდინარე წყლების მართვას, ნავთობპროდუქტების საცავის შემოზვინვის შიგნით წარმოქმნილი სანიაღვრე და ტექნიკური ჩამდინარე წყლები, ასევე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტები, სეპარატორის ტიპის (ФСН-3) ორკამერიან გამწმენდ დანადგარს (3 ლ/წმ) მიეწოდება, საიდანაც ქალაქის სანიაღვრე ქსელში ჩაედინება (GPS კოორდინატები: X-716876.5168 Y-4609774.681). ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები იკრიბება საასენიზაციო ორმოში, რომლის დაცლაც შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს გოგირდწყალბადი (H_2S), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C_6-C_{10}), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C_{12}- C_{19}), ბენზოლი (C_6H_6), ნაფტალინი ($C_{10}H_8$) და ეთილმერკაპტანი (C_2H_6S), რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ავტოცისტერნიდან

ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვის და გაცემისას ფიქსირდება. დოკუმენტში წარმოდგენილია ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

აღსანიშნავია, რომ გაბნევის გაანგარიშება განხორციელდა „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების შესაბამისად, საკურორტო ზონებისთვის დადგენილი მეტად მკაცრი ზღვრული მნიშვნელობების მიხედვით, ზდკ-ის წილობრივი მაჩვენებელის 0,8 კოეფიციენტის ჩასწორების გამოყენებით. მიღებული შედეგებით, ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არც ერთი მავნე ნივთიერების კონცენტრაცია როგორც უახლოეს რეცეპტორებთან (საკონტროლო წერტილი №1 – ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 171 მეტრში მდებარე საცხოვრებელი კორპუსი; საკონტროლო წერტილი №2 – სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 120 მეტრში მდებარე თვითმფრინავების ასაფრენი ზოლი; საკონტროლო წერტილი №3 – სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 610 მეტრში მდებარე ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის შენობა), ისე 500-მეტრიანი რადიუსის ნორმირებულ საზღვარზე (საკონტროლო წერტილები №4-6) კანონმდებლობით დადგენილი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მაჩვენებლებს არ აჭარბებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნის ძირითადი წყაროა საწვავის მიმღებ-გამცემ ბაქანზე განთავსებული ტუმბოები და პერიოდულად მოძრავი ავტოცისტერნები. დოკუმენტში წარმოდგენილია ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშება, რომელიც უარესი სცენარით, ყველა ხმაურის წარმომქმნელი დანადგარის მუშაობის შემთხვევისთვის და ხმაურის მინიმალური ეკრანირების გათვალისწინებით განხორციელდა. მიღებული შედეგებით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე უახლოეს საცხოვრებელ კორპუსთან მიღებული ხმაურის დონე დაახლოებით 1 დბა-ს შეადგენს, ხოლო 500–610 მეტრის დისტანციაზე ნულოვანი მნიშვნელობისაა. იმის გათვალისწინებით, რომ სპეციფიკიდან გამომდინარე აეროპორტის (აფრენა-დაფრენა) ხმაურის ფონური დონე ტუმბოების ხმაურს მნიშვნელოვნად აღემატება, ნავთობროდუქტების საცავის ექსპლუატაციით აკუსტიკური ხმაურის დონე არ იცვლება და ჯამურად პრაქტიკულად არსებული ფონური დონის იდენტურია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე მოწყობილია ნარჩენების განთავსების უბანი, რომელიც ფარდულის ტიპის ნაგებობით, მობეტონებული ძირით და შესაბამისი გადახურვით არის წარმოდგენილი. ნარჩენები გროვდება სეპარირებულად, ჰერმეტულ კონტეინერებში, რომლებიც მარკირებულია ნარჩენის კოდის და დასახელების მითითებით. ამასთან, კომპანიას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ნარჩენების მართვის გეგმა. შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“, დაგეგმილი ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს განახლებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული

ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ახალი ტერიტორიის ათვისება გათვალისწინებული არ არის და საპროექტო №4 რეზერვუარი მოეწყობა არსებული ნავთობპროდუქტების საცავის ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, წარმადობის და მახასიათებლების გათვალისწინებით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის 3.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქალაქ ბათუმში შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს 400 $მ^3$ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე დამატებით 96 $მ^3$ მოცულობის საავიაციო საწვავის რეზერვუარის მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გზშ-ს;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. ბათუმში შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავების (ჯამურად 400 $მ^3$) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სააგენტოს 2023 წლის 26 ივლისის №355/ს ბრძანება;
3. შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“ ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/9-21-4-202601141447

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE